


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საერთო საცხოვრებლის დებულება
Regulation for the Dormitory

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძის და იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2019 წლის 30 აპრილის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N10);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საერთო საცხოვრებლის დებულება

Regulation for the Dormitory

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები	5
4. ზოგადი დებულება	5
5. საერთო საცხოვრებლის ამოცანები და ფუნქციები	6
6. საერთო საცხოვრებლის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქცია	6
7. შემოწმება და კონტროლი	7
8. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი	7
დანართი 1 საერთო საცხოვრებელში შემომსვლელ პირთა აღრიცხვის წიგნი	8



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საერთო საცხოვრებლის დებულება

Regulation for the Dormitory

1. გავრცელების სფერო

- 1) არსებული დებულება წარმოადგენს სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის ნორმატიულ დოკუმენტს, ადგენს ფუნქციონალურ თანმიმდევრობას და ვრცელდება საერთო საცხოვრებლის თანამშრომლებზე;
- 2) დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსის) და საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორთან (ელექტრონული ვერსია).
- 3) არსებული დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება საჭიროებისამებრ შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

2.1 წინამდებარე დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. ნდ №2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
4. ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
5. ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:


3.1 ტერმინები, განმარტებები

1. **ნორმატიული დოკუმენტი** - დოკუმენტი, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის.
2. **პერიოდული შემოწმება** - ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
3. **დებულება** - განყოფილების სტატუსის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია განყოფილების მუშაობის მიმართულებები და ფუნქციები, უფროსის და თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციების თანდართვით.
4. **თანამდებობრივი ინსტრუქცია** - ფუნქციონალური მოვალეობის ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას.
5. **დოკუმენტის ორიგინალი** - დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია უფროსის ნამდვილი ხელწერა.
6. **კონფიდენციალურობა** - საიდუმლო ან განდობილი ინფორმაციის შენახვა-გაუმჟღავნებლობა, რაც განისაზღვრება სათანადო მოქმედი დოკუმენტით.

შენიშვნა: კონფიდენციალურობის დარღვევა ისჯება მოქმედი კანონდებლობის და სხვა რეგლამენტური აქტებით.

3.2 შემოკლებები

1. **შპს ბუსსს ანრი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც **სასწავლებელი**)
2. **ხმს** - ხარისხის მართვის სისტემა
3. **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი
4. **IMO** - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
5. **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საერთო საცხოვრებლის დებულება

Regulation for the Dormitory

4. ზოგადი დებულება

- 1) არსებული დებულება განსაზღვრავს შპს ბუსსს ანრის საერთო საცხოვრებლის სტატუსს, უფლება-მოვალეობებს და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს;
- 2) სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი არის სასწავლებლის სტრუქტურული ერთეული;
- 3) სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, სასწავლებლის წესდებით, შინაგანაწესით, არსებული დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.
- 4) საერთო საცხოვრებელში შემავალი საშტატო ერთეულები ყალიბდება შპს ბუსსს ანრის საშტატო გარიგის შესაბამისად და მტკიცდება გენერალური დირექტორის ბრძანებით.
- 5) განყოფილება შედგება შემდეგი საშტატო ერთეულისგან:
 - საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორი
 - საჭიროებისამებრ შეიძლება დაინიშნოს დამხმარე პერსონალი, საქმიანობიდან გამომდინარე სხვა საშტატო ერთეული, რომელიც ინიშნება გენერალური დირექტორის ბრძანებით, საშტატო განრიგის გათვალისწინებით.

5. საერთო საცხოვრებლის ამოცანები და ფუნქციები

- 1) უზრუნველყონ საერთო საცხოვრებელზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვა;
- 2) უზრუნველყონ შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, შეიმუშაონ ღონისძიებები სახანძრო უსაფრთხოების განმტკიცებისათვის სახანძრო, ინვენტარის და ტექნიკური საშუალებების პერიოდულად განახლების გათვალისწინებით;
- 3) უზრუნველყონ საერთო საცხოვრებლის შენობაში შემომსვლელ პირთა აღრიცხვა და საშვთა გაცემა;
- 4) უზრუნველყონ ინსტიტუტის სტუდენტთა და მოწვეულ სტუმართა განთავსება


6. საერთო საცხოვრებლის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები

6.1 საერთო საცხოვრებლის პერსონალის ფუნქციები

- 1) უზრუნველყონ საერთო საცხოვრებელზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვა;
- 2) უზრუნველყონ შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, შეიმუშაონ ღონისძიებები სახანძრო უსაფრთხოების განმტკიცებისათვის სახანძრო, ინვენტარის და ტექნიკური საშუალებების პერიოდულად განახლების გათვალისწინებით;
- 3) უზრუნველყონ საერთო საცხოვრებლის შენობაში შემომსვლელ პირთა აღრიცხვა შესაბამის წიგნში (იხ.დანართი 1);
- 4) უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა და მოწვეულ სტუმართა განთავსება.

6.2 საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორის თანამდებობრივი ინსტრუქცია

- 1) საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ;
- 2) საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორი უშუალოდ ექვემდებარება შპს ბუსსს ანრის გენერალურ დირექტორს.
- 3) საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორმა უნდა იცოდეს
 - ✓ ხარისხის სფეროში შპს ბუსსს ანრის პოლიტიკის, მიზნებისა და ვალდებულებების შესაბამისად - ხარისხის მართვის კონტროლისა და ზედამხედველობის გაწევა;
 - ✓ საქმისწარმოების ერთიანი წესები (პრეზიდენტის განკარგულება № 414 1999წ.) და სხვა საკანონმდებლო დოკუმენტაცია, რომელიც ეხება საქმიანობას.
- 4) საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორი პასუხისმგებლობა/ვალდებულებები:
 - ✓ ხელმძღვანელობს და წარმართავს საერთო საცხოვრებლის საქმიანობას, აწარმოებს დოკუმენტა და მონაცემთა მართვას;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საერთო საცხოვრებლის დებულება

Regulation for the Dormitory

- ✓ წარმოადგენს საერთო საცხოვრებელს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
 - ✓ ანაწილებს მოვალეობებს მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
 - ✓ თვალყურს ადევნებს და ზედამხედველობს მოსამსახურეების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ სასწავლებლის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
 - ✓ ხელს აწერს საერთო საცხოვრებელში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვიზიტ ადასტურებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოების მიერ შემუშავებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს;
 - ✓ წარადგენს ანგარიშს საერთო საცხოვრებლის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს სასწავლებლის ხელმძღვანელობის და ხარისხის სამსახურის დავალებით;
 - ✓ წარუდგენს გენარალურ დირექტორს წინადადებებს საერთო საცხოვრებლის მოსამსახურეების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
 - ✓ შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია საერთო საცხოვრებლის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
 - ✓ შუამდგომლობს საერთო საცხოვრებლის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
 - ✓ ყველა დავალებას ასრულებს დროულად და მაღალხარისხიანად
 - ✓ იცავს კონფიდენციალურობის
- 5) საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორს უფლება აქვს:
- ✓ მოითხოვოს სტრუქტურული ქვედანაყოფის განვითარებისთვის, გაუმჯობესებისთვის საჭირო ინვენტარი და ა.შ.;
 - ✓ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გასცეს განკარგულებები.
 - ✓ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოაწეროს ხელი დოკუმენტაციას.


საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორის ფუნქციები ვრცლად გაწერილია [ფ/მ 2-010201/44](#)-ში.

6.3 სხვა თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქცია

- ✓ საჭიროებისამებრ სხვა დამხმარე სამტატო ერთეულის დანიშვნვის შემთხვევაში თანამდებობრივი მოთხოვნები გაწერილი იქნება თანამშრომლის ფუნქციონალურ მოვალეობებში.

7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება საჭიროებისამებრ.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საერთო საცხოვრებლის დებულება
Regulation for the Dormitory

დანართი 1

მფ-02-№179-08-21.03.16

საერთო საცხოვრებელში შემომსვლელ პირთა აღრიცხვის წიგნი
Dormitory VISITORS LOG BOOK
КНИГА РЕГИСТРАЦИИ ПОСТОЯЛЬЦЕВ

№	სახელი, გვარი Name Ф.И.О.	პირადობის დამადასტურებელი მონაცემები Personal Data Личные данные	საკონტაქტო მონაცემები Contact Data Контактные данные	შემოსვლის თარიღი Coming Date Дата прибытия	ოთახის ნომერი Room № Номер комнаты	წასვლის თარიღი Date of leaving Дата выезда	შენიშვნა Note Замечание
1	2	3	4	5	6	7	8